



**მერაბ ჩუხუა** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი. არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ამავე ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (2005), პროფესორი, ლინგვისტი კავკასიოლოგი.

მეცნიერული ინტერესების სფერო: ქართველური და ნახური ენების საერთო ლექსიკური ფონდის ფონოლოგიური სისტემისა და ძირ-ფუძეთა სტრუქტურული მოდელები, საერთო იბერიულ-კავკასიური ფუძე-ენის საკითხები, კომპარატივისტიკა.

იგი კითხულობს ლექციებს:

- ზანური ენა
- ინგუშური ენა
- იბერიულ-კავკასიურ ენათა შედარებითი ფონეტიკა
- კავკასიის არეალური ლინგვისტიკა
- ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკა

70-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, მათ შორის, 3 მონოგრაფიისა.